საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

04 ოქტომბერი 2024 წ.

KA000032925556924

№ **2024/5185**

შპს „ჭრელი აბანოს“ დირექტორს

თეიმურაზ მამაცაშვილს

მისამართი: ქ. თბილისი, აბანოს ქუჩა N2

შპს „ჭრელი აბანოს“ წარმომადგენელს

[redacted]

მისამართი: [redacted]

გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ

შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, მე-2 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

2020 წლის 27 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით (N13-5/2408) მიმართა შპს „ჭრელი აბანოს“ დირექტორს - თეიმურაზ მამაცაშვილს სექსუალური შევიწროვებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე. საქართველოს სახალხო დამცველის აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა მექისის მხრიდან ქ. თბილისში მდებარე შპს „ჭრელ აბანოში“ სექსუალური შევიწროვების საკითხის შესწავლის შედეგად.

2020 წლის 16 მარტს შპს „ჭრელი აბანოს“ წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს სახალხო დამცველის წინააღმდეგ ([redacted]და

მოითხოვა სასამართლოს დაედგინა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის N13-5/2408 (27.02.2020) რეკომენდაციაში მითითებული სექსუალური შევიწროვებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაცია შპს „ჭრელ აბანოს“ არ განუხორციელებია და რომ სექსუალური შევიწროვებით გამოხატულ სქესის ნიშნით დისკრიმინაციას შპს „ჭრელ აბანოში“ ადგილი არ ჰქონია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 მარტის განჩინების თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დაევალა ვებგვერდიდან აეღო 2020 წლის 27 თებერვლის N13-5/2408 რეკომენდაციის თაობაზე განთავსებული ინფორმაცია, რაც შესრულდა სახალხო დამცველის აპარატის მიერ.

სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად შპს „ჭრელი აბანოს“ მიერ მითითებულია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გამოიცა მექისე მამაკაცი გამოკითხვის გარეშე და ამ საკითხზე რეკომენდაციაში მითითებულია, რომ „საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან ინფორმაციის წერილობითი ფორმით გამოთხოვის მიუხედავად, მოპასუხე დაწესებულებას არ წარმოუდგენია შესაბამისი განმარტება. ასევე, მოპასუხეს მოთხოვნის მიუხედავად, არ მოუწოდებია ინფორმაცია მექისე მამაკაცის ვინაობის შესახებ.“

ასევე შპს „ჭრელმა აბანომ“ სარჩელში მიუთითა, რომ მექისე [redacted]არ წარმოადგენს შპს „ჭრელ აბანოსთან“ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში [redacted] შესაბამისად, მის დასაქმებულს, მოსარჩელესა და მექისეს შორის გაფორმებულია ვალებულებით-სამართლებრივი (იჯარის) ტიპის ხელშეკრულება.

მექისის ვინაობისა და შპს „ჭრელ აბანოსთან“ მისი სამართლებრივი ურთიერთობის ფორმის შესახებ მითითებულია შპს „ჭრელი აბანოს“ 2019 წლის 25 ნოემბრის N14740/19 წერილში. აღნიშნული წერილის არსებობა რეკომენდაციის გამოცემის დროს აპარატის შესაბამისი საქმის განხილვაზე პასუხისმგებელი პირებისათვის არ იყო ცნობილი და ის ცნობილი გახდა მხოლოდ სასამართლოში შპს „ჭრელი აბანოს“ მიერ სარჩელის შეტანის შემდეგ. სასამართლოში მიმდინარე დავის პროცესში ([redacted], [redacted]გაირკვა, რომ აპარატის თანამშრომელთა შეცდომის გამო მიღებული კორესპონდენცია არ ასახულა საქმის მასალებში, შესაბამისად ამ პასუხში მითითებული არგუმენტების შეფასება არ მომხდარა რეკომენდაციის გამოცემის პროცესში.

2024 წლის 5 მარტს შპს „ჭრელი აბანოს“ წარმომადგენელმა [redacted] განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს და მოითხოვა საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის N13-5/2408 რეკომენდაციაში მითითებული გარემოებების ხელახლა შესწავლა.

ამასთან, სამოქალაქო საქმეზე [redacted]მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2024 წლის 5 მარტს. მოსამზადებელ სხდომაზე შპს „ჭრელი აბანოს“ წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სხდომის გადადების შესახებ, ვინაიდან მათთვის ცნობილი იყო საქართველოს სახალხო დამცველის პოზიცია საქმის ხელახლა შესწავლისა და არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების მზადყოფნის თაობაზე. კერძოდ, ვინაიდან შპს „ჭრელი აბანოს“ 2019 წლის 25 ნოემბრის N14740/19 წერილში მითითებული არგუმენტების შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს სექსუალური შევიწროვების ფაქტის დადგენისთვის მიზანშეწონილად ჩაითვალა მოცემულ საქმეზე წარმოების განახლება და სექსუალური შევიწროვების ფაქტის არსებობა/არარსებობის საკითხის შეფასება შპს „ჭრელი აბანოს“ 2019 წლის 25 ნოემბრის N14740/19 წერილში დაფიქსირებული პოზიციისა და 2020 წლის 16 მარტის სარჩელზე თანდართული დოკუმენტაციის (მექისესა და ჭრელ აბანოს შორის 2019 წლის 1 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულება) შესწავლის შედეგად. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში იგივე ფაქტზე მიმდინარეობდა გამოძიება (№ 008220719001 სისხლის სამართლის საქმე), დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის პირველი ნაწილით, მ[redacted] მიმართ შესაძლო მოტყუებით ქონებრივი ზიანი მიყენების ფაქტზე. აღნიშნული გამოძიების ფარგლებში გამოკითხული იქნა [redacted]ძის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის №008220719001 საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო და ასევე არ დადასტურდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166^1-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განახლებული წარმოების ფარგლებში, საქმეზე საბოლოო შეფასების გაკეთების მიზნით მნიშვნელოვანი იყო ასევე მითითებული პირების გამოკითხვის ოქმების გაცნობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიზანშეწონილად ჩათვალა საქმის თავიდან შესწავლა და საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასების შედეგად შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

განახლებული წარმოების ფარგლებში შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი:

1. **საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 25 ივლისის ოქმის[1] თანახმად, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა - [redacted]ახალხო დამცველის აპარატს, ინფორმაცია მიაწოდა სავარაუდო სექსუალური ძევიწროვების თაობაზე. სახალხო

დამცველის აპარატის თანამშრომელი, იმავე წლის 23 ივლისს, დაუკავშირდა სავარაუდო სექსუალური შევიწროვების მსხვერპლს, რომელმაც ინფორმაცია მიაწოდა აბანოში მომხდარი ფაქტის თაობაზე და ითხოვა საქმის შესწავლა. ოქმში ასევე აღნიშნულია, რომ მან, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელს, სამსახურებრივ ელექტრონულ ფოსტაზე მიაწოდა ინფორმაცია, რომელშიც დეტალურად აღწერს აბანოში და შემდგომ პოლიციაში განვითარებულ მოვლენებს.

ელექტრონულ წერილში აღნიშნულია:[2] *„2019 წლის 21 ივლისს, შუადღეს, განმცხადებელი, მეგობრებთან ერთად (*[redacted]*ასაჟის პროცედურის დასაჯავშნად, ეწვია ქ. თბილისში მდებარე „მეფე ერეკლეს აბანოს“. დაწესებულების მენეჯერმა მიუთითა მექისე ქალზე, რომელსაც მათთვის შესაბამისი მომსახურება უნდა გაეწია. იმავე დღის 20:00 საათზე, განმცხადებელი და მისი მეგობრები მივიდნენ აბანოში. დაწესებულების მენეჯერმა ისინი ცალკე ოთახში შეიყვანა, სადაც, 15 წუთის შემდეგ, მექისე მამაკაცი შევიდა, რომელსაც პროცედურის ჩასატარებლად საჭირო საშუალებები ჰქონდა თან (სახეხი ღრუბელი, წყალი). განმცხადებლის განმარტებით, მათ იცოდნენ, რომ მომსახურება ქალს უნდა გაეწია, თუმცა, მიიჩნიეს, რომ მექისე მამაკაცი მათთან ერთად მყოფი მამრობითი სქესის მეგობრის -* [redacted]*ომსახურების გაწევის მიზნით შევიდა. ა*[redacted]*ანმარტებით, მექისემ, თავდაპირველად მის მეგობარს -* [redacted]*ბიმართა და მიანიშნა, რომ საცურაო კოსტუმი მთლიანად გაეხადა.* [redacted]*ემდეგ მექისემ მასაჟი რ*[redacted]*გაუკეთა, თუმცა, მისთვის საცურაო კოსტუმის* [redacted] *აღნიშნულის შემდეგ, მექისემ განმცხადებელს სთხოვა სრულიად გაშიშვლება, რაზეც, ა*[redacted] *განმარტებით, მან უარი განაცხადა და საცურაო კოსტუმის ქვედა ნაწილი არ გაიხადა. პროცედურის დასაწყისში, ა*[redacted]*მუცელზე დაწვა და მექისე სხეულზე უკეთებდა მასაჟს, რის შემდეგაც, მექისემ ზურგზე დაწოლა მოსთხოვა. განმცხადებლის განმარტებით, თავს არაკომფორტულად გრძნობდა, თუმცა მიჰყვა მექისის მითითებას. როდესაც ზურგზე გადმობრუნდა, მექისემ დაუწყო, მათ შორის, მკერდზე მასაჟის კეთება, რაც, დაახლოებით 30 წამი გაგრძელდა. განმცხადებელმა აღნიშნული გააპროტესტა და მექისე სექსუალურ შევიწროებაში დაადანაშაულა. როგორც ა*[redacted]*ღნიშნავს, მექისეს კარგად არ ესმოდა ინგლისური ენა, მისი ვარაუდით, ვერ გაიგო რას ეუბნებოდა და ოთახიდან გავიდა. აღნიშნულის შემდეგ, ა*[redacted]*ეუძახა დაწესებულების მენეჯერს და მოუყვა მომხდარის შესახებ. განმცხადებ*[redacted]*ემ მენეჯერი გაოგნებული მოეჩვენა, ის მოულოდნელად გავიდა ოთახიდან, რის შემდეგაც დაინახა, რომ იგი მექისე მამაკაცს უყვიროდა. ამაიას განმარტებით, მენეჯერმა მოუბოდიშა და უთხრა, რომ მან უსაყვედურა მექისეს, რაზეც ამაიამ უპასუხა, რომ ბოდიში არ იყო საკმარისი, ეს არ იყო უბრალო შეცდომა და მის სექსუალურ შევიწროებას ჰქონდა ადგილი. აღნიშნული ფაქტის შემდეგ,* [redacted]*დაურეკა მეგობარს -* [redacted]*რათა ეკითხა, როგორ მოქცეულიყო.* [redacted]*გამოიძახა საპატრულო პოლიცია და მეუღლესთან ერთად შემთხვევის ადგილზე მივიდა. ვიდრე ამაია მეგობრებთან ერთად ელოდებოდა გ*[redacted]*და საპატრულო პოლიციას, მენეჯერი კვლავ უბოდიშებდა მომხდარის გამო და ცდილობდა მომსახურების საფასურის უკან დაბრუნებას. ასევე, განმცხადებლის განმარტებით, მენეჯერმა ისინი რესტორანში დაპატიჟა, რაზეც მათ უარი განუცხადეს. განმცხადებლისა და მისი მეგობრების განმარტებით, ისინი მენეჯერს სთხოვდნენ, მათთვის მექისე მამაკაცის სახელი ეთქვა, რაზეც მენეჯერმა უარი უთხრა“.*[3]

რეკომენდაციის ფაქტობრივ გარემოებებში მითითებულია, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენელთან პირადი გასაუბრების დროს, ა[redacted]ერთად, „მეფე ერეკლეს აბანოში“ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის დროს მყოფმა მეგობრებმა - [redacted] დაადასტურეს [redacted]ერ განცხადებაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები.

აღნიშნულის დასადასტურებლად, მითითებულია სახალხო დამცველის წარმომადგენელის მიერ, 2019 წლის 27 ივლისს, მ[redacted] **გამოკითხვის ოქმები. იმის მიუხედავად, რომ მოწმეებმა თანხმობა გახაცხადეს აუდიო-ჩანერაზე, ჩანაწერის ტექნიკური ხარვეზის გამო მოხერხდა მხოლოდ 2 წუთის ჩაწერა, რის გამოც ოქმებში მითითებული ინფორმაციის გადამოწმება ვერ მოხერხდა.**[4]

რეკომენდაციის თანახმად, 2019 წლის 8 ოქტომბერს, სახალხო დამცველის წარმომადგენელი იმყოფებოდა[5] „მეფე ერეკლეს აბანოში“, რომელიც წარმოადგენს შპს „ჭრელი აბანოს“ დაწესებულებას. სახალხო დამცველის წარმომადგენელი გაესაუბრა აბანოს მოლარესა და შპს „ჭრელი აბანოს“ დირექტორს - ჯაბა მამაცაშვილს. ხაზგასასმელია, რომ მათ სახალხო დამცველის წარმომადგენელს მათ უარი განუცხადეს აუდიო ჩაწერაზე.

რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, **მოპასუხეს წერილობითი პოზიცია სახალხო დამცველის აპარატში არ წარმოუდგენია.** როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის შპს „ჭრელი აბანოს“ 2019 წლის 25 ნოემბერის N14740/19 წერილის თაობაზე ცნობილი გახდა სასამართლოში დავის განხილვის პროცესში.

2. გარემოებები, რომლებიც საქმისწარმოების შეწყვეტას იწვევს

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების შედეგად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ არსებობს N13-5/2408 რეკომენდაციის გაუქმების და საქმისწარმოების შეწყვეტის წინაპირობები. კერძოდ:

შპს „ჭრელი აბანოს“ 2019 წლის 25 ნოემბრის N14740/19 პასუხის თანახმად, განმცხადებელმა აბანოს მომსახურებით 2019 წლის 22 ივლისს ისარგებლა და მომსახურეობა [redacted] გაუწია. პასუხის თანახმად, **ქისით მასაჟის მომსახურების წესი კომპანიაში გაწერილი არ არის და იგი ხორციელდება დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით და არ მოიცავს მკერდის მასაჟს არც კაცის და არც ქალის შემთხვევაში.** ქისით მომსახურების არსებული პრაქტიკის მიხედვით, კაც კლიენტს ქისას უკეთებს კაცი მექისე, ხოლო ქალ კლიენტს - ქალი მექისე. ამ წესიდან გამონაკლისია, როდესაც ქალი ითხოვს ქისის მომსახურება მასთან კაცმა განახორციელოს. სწორედ ამ გამონაკლისს ჰქონდა ადგილი, როდესაც განმცხადებელი, 2 მეგობართან (ერთი კაცი იყო) ერთად, მივიდა აბანოში. წერილში მითითებულია, რომ მას შემდეგ რაც [redacted] კაცს გაუკეთა ქისით მასაჟი, რასაც ესწრებოდა განმცხადებელი, თავადაც მოითხოვა იგივე პროცედურის გავლა. მსგავსი გამონაკლისები არ გულისხმობს მამაკაცი მექისის უფლებას ქალი კლიენტის მომსახურების დროს შეეხოს მის მკერდს ან სხვა ინტიმურ ადგილს. **პასუხის თანახმად, კომპანიაში არ არსებობს სერვისი, რომელიც მოიცავს მკერდის მასაჟს.** პასუხში ასევე განმარტებულია, რომ კომპანია არ იმყოფება მექისესთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში და შპს „ჭრელ აბანოს“ გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება და მექისეები ყოველთვიურად, კომპანიას უხდიან შეთანხმებულ ქირას. სახალხო დამცველის აპარატში კომპანიამ ასევე წარმოადგინა მექისის - [redacted] ახსნა-განმარტება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2019 წლის 22 ივლისს მომსახურება 3 ადამიანს გაუწია, მათ შორის ერთი კაცი იყო. 2 ადამიანი კმაყოფილი დარჩა, ხოლო ერთმა კლიენტმა უკმაყოფილება გამოხატა მკერდზე შეხების გამო, რაც მას არ გაუკეთებია.[6]

- ამდენად, მოპასუხის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მკერდის მასაჟის სერვისი კომპანიას არ აქვს, ხოლო მექისე უარყოფს სექსუალური შევიწროების ფაქტს. მოპასუხის ეს პოზიცია რეკომენდაციაში ასახული არ არის.

1. განახლებული საქმისწარმოების ფარგლებში, 2024 წლის 16 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ კორესპონდენციაში (MIA 4 24 01436388) აღნიშნულია, რომ მიმდინარეობდა გამოძიება № 008220719001 სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოქალაქე [redacted] მიერ, ესპანეთის სამეფოს მოქალაქის [redacted] მიმართ შესაძლო მოტყუებით ქონებრივი ზიანი მიყენების ფაქტზე. 2019 ნლის 3 დეკემბერს, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო. სისხლის სამართლის საქმეზე მოწმეთა გამოკითხვით, ესპანეთის სამეფოს მოქალაქის [redacted] მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166^1-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა. გარდა ამისა, სახალხო დამცველს გამოეგზავნა სისხლის სამართლის საქმეზე, საგამოძიებო სამმართველოს მიერ წარმოებული მასალების ასლები.

სახალხო დამცველის აპარატი დეტალურად გაეცნო მოწოდებულ მასალებს, კერძოდ, ***[redacted] 2019 წლის 22 ივლისის გამოკითხვის ოქმში*** *აღნიშნულია, რომ 2019 წლის 21 ივლისს, თავის მეგობრებთან ერთად, გოგირდის აბანოში იმყოფებოდა. თავდაპირველად ქისით მასაჟი გაიკეთა [redacted] შემდეგ [redacted] ოლო ბოლოს თავად იყო. მისი განმარტებით, მისი მეგობრები მასაჟით კმაყოფილები [redacted] ოლო მას მექისის მომსახურება მოეჩვენა არაპროფესიონალურად. კერძოდ, როდესაც მექისესთან შევიდა, მან ხელის ჟესტიკულაციით ანიშნა, რომ ტანსაცმელი გაეხადა, ხოლო ლიფისა და ქვედა საცვალის გახდაზე უარი განაცხადა, რაზეც მექისემ აღნიშნა, რომ მას პრობლემა არ ჰქონია. როდესაც მექისემ გადაინაცვლა ზედა ტანის ქისით დამუშავებაზე განმცხადებელმა მას უთხრა, რომ ის არაპროფესიონალურად მუშაობდა, რის შემდეგაც მექისემ მასაჟის გაკეთება შეწყვიტა. განმცხადებლის განმარტებით, მენეჯერმა მექისეს სიტყვიერი შენიშვნა მისცა. განმცხადებელმა მომხდარის შესახებ შეატყობინა მის მეგობარს - [redacted] რომელმაც შეატყობინა საპატრულო პოლიციას. განმცხადებლის განმარტებით, ქისის გაკეთების მომენტში, არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ ტარდებოდა მასაჟი და შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ქისით მასაჟი ტარდებოდა არაპროფესიონალურად, ვინაიდან ესპანეთში მასაჟი სხვაგვარად ტარდება. განმცხადებელი მიუთითებს, რომ როდესაც ის სრულად გაერკვია ქისით მასაჟის შესახებ, ის ფიქრობს, რომ პოლიციის გამოძახება არ იყო საჭირო. ასევე, აბანოს მენეჯერმა და მექისემ მოუხადეს ბოდიში. განმცხადებელი განმარტავს, რომ მას პრეტენზია არ აქვს და ითხოვს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.* ***ოქმში, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მექისის მხრიდან სექსუალური შევიწროება არ განუცდია და მექისის მიმართ პრეტენზია არ აქვს.***

[redacted] 019 წლის 22 ივლისის გამოკითხვის ოქმში აღნიშნულია*, რომ 2019 წლის 21 ივლისს მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა გოგირდის აბანო[redacted] ი განმარტებით, თავდაპირველად მან გაიკეთა მასაჟი, შემდგომ [redacted] ხოლო ბოლოს [redacted] ის და [redacted] კმაყოფილები იყვნენ მომსახურებით, [redacted] განსხვავებით. [redacted] ***ა განმარტავს, რომ მას სექსუალური შევიწროება არ უგრძვნია და მექისის მიმართ პრეტენზია არ აქვს.***

[redacted] 2019 წლის 22 ივლისის გამოკითხვის ოქმში აღნიშნულია*, რომ 2019 წლის 21 ივლისს მეგობრებთან ერთად გოგირდის აბანოში იმყოფებოდა. მისი განმარტებით, ის და [redacted] განსხვავებით, კმაყოფილები იყვნენ მომსახურებით. გამოკითხული პირის განმარტებით, [redacted] აუხსნეს ქართული მასაჟის არსი და მას პრეტენზია არ გამოუთქვამს.* ***ის ასევე აღნიშნავს, რომ***

მექისის მხრიდან სექსუალური შევიწროება არ განუცდია.

მექისე - [redacted] 2019 წლის 22 ივლისის გამოკითხვის ოქმის თანახმად*, 2 თვეა რაც მუშაობს შპს „მეფე ერეკლეს სახელობის“ გოგირდის აბანოებში. მექისე ადასტურებს, რომ მან სამ უცხოელს ჩაუტარა ქისით მასაჟი, საიდანაც ორი კმაყოფილი იყო, ხოლო [redacted] ქისის დასრულებისთანავე პრეტენზია გამოხატა და აღნიშნა, რომ მასაჟი არაპროფესიონალურად ჩაუტარდა. მისთვის უცნობია რამ გამოიწვია მისი უკმაყოფილება. როდესაც საპატრულო პოლიცია ადგილზე გამოცხადდა აბანოს მენეჯმენტმა და მათ თარჯიმნის მეშვეობით აუხსნეს თუ რას გულისხმობდა ქართული ქისით მასაჟი, რის შემდგომ მათ პრეტენზია არ გამოუხატავთ.* ***მექისე განმარტავს, რომ მას არც განმცხადებელი და არც სხვა კლიენტი სექსუალურად არ შეუვიწროებია.***

პატრულ-ინსპექტორის, [redacted] 2019 წლის 22 ივლისის გამოკითხვის ოქმის თანახმად*, გამოიძახეს გოგირდის აბანოში, სადაც ა[redacted] მიუთითა, რომ მექისემ აბანოში არაპროფესიონალურად გაუკეთა მასაჟი და ესპანეთში ესეთ მასაჟს არ აკეთებენ. მოგვიანებით გოგირდის აბანოს მენეჯმენტმა მას აუხსნეს ქართული მასაჟის არსი, რაც მან აღიქვა და პრეტენზია აღარ ჰქონდა.* ***სამივე მოწმემ განაცხადა, რომ მექისის მხრიდან სექსუალური ხასიათის ქმედებას ადგილი არ ჰქონია, თუმცა, ამის მიუხედავად, მათ ადგილზე ქ. თბილისის მთავარი საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელი გამოიძახეს.***

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ოქმების გაცნობის შედეგად დასტურდება, რომ სამივე გამოკითხულმა პირმა (ა[redacted], 2019 წლის 22 ივლისს უარყვეს სექსუალური შევიწროების ფაქტი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გამოკითხვა ჩატარდა თარჯიმნის მონაწილეობით[7]. **ოქმებზე ფიქსირდება მოწმეების ხელმოწერები და მითითება იმის თაობაზე, რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის სწორი. ამდენად, სახალხო დამცველი, ეჭვქვეშ ვერ დააყენებს მათ მიერ გამოხატული ნების ნამდვილობას. სექსუალური შევიწროების საქმეების შესწავლისთვის მნიშვნელოვანია მსხვერპლის მიერ გამოხატული ნება იყოს ცხადი.** 2019 წელს მიმდინარე საქმისწარმოების ფარგლებში გამოძიებისას მიცემული ჩვენებები და შესაბამისად, განმცხადებლის პოზიცია სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო ვერ მოხდებოდა სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენა, ვინაიდან განმცხადებლებმა სახალხო დამცველის აპარატს და შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ექსპლიციტურად იყო პასუხისმგებელი საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროებაზე, ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციები მიაწოდეს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სახალხო დამცველის აპარატმა, 2019 წლის 26 ივლისს, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით (კორესპონდენცია N13/8426) მიმართა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეწოდებინა შედგენილი ოქმების ასლები და ფაქტთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია. შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახალხო დამცველის აპარატს, 2019 წლის 31 ივლისს , (კორესპონდენცია MIA 1 19 02013523) ეცნობა, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველს უფლება აქვს გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს, რომელზეც მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ანუ, საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული ანდა საქმეზე პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ კანონიერ ძალაშია შესული (გასულია უფლებამოსილი პირის მიერ გასაჩივრების ვადა). აღნიშნულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის N008220719001 საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ გადასცა საქმის მასალები სახალხო დამცველის აპარატს. დამატებით, საგულისხმოა, რომ 2019 წლის 9 სექტემბერს, (კორესპონდენცია MIA 2 19 02384028) შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ საქმე შეისწავლეს სექსუალური შევიწროების ჭრილშიც, მოწმეებს დაესვათ რელევანტური კითხვები სექსუალური შევიწროების გამოკვეთის მიზნით. გამოკითხვის დროს, აღნიშნულმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ მიმართ ადგილი არ ჰქონია სექსუალურ შევიწროებას, სექსუალურ ძალადობას ან სხვა რაიმე სახის იძულებას. მოწმეთა განმარტებით, ადგილი ჰქონდა გაუგებრობას და მათ არავის მიმართ არ გააჩნიათ პრეტენზია.

  2. რეკომენდაციის სამართლებრივ ნაწილში შეფასებულია, რომ ა[redacted] მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები (მექისის მხრიდან გაშიშვლების მოთხოვნა, მკერდის მასაჟის გაკეთება) დასტურდება [redacted]ა შემდგომ მისული მეგობრების მიერ. როგორც უკვე აღინიშნა, საქმეში ტექნიკური ხარვეზის გამო არ დევს [redacted]და მ[redacted]ამოკითხვის აუდიო ჩანაწერები. აუდიო-ჩანაწერის არარსებობის გამო სახალხო დამცველის აპარატს არ ჰქონდა შესაძლებლობა 2019 წლის 27 ივლისს მიწოდებული ინფორმაცია გადაემოწმებინა. საგულისხმოა, რომ განმცხადებლის მიერ აღწერილი გარემოებები უარყოფილია მექისის მხრიდან, რაც რეკომენდაციაში არ არის ასახული. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოკითხვისას, უარყოფილია სამივე პირის მხრიდან. 2019 წლის 24 ივლისს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლისთვის მიწერილ ელექტრონულ წერილში, განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მან პოლიციის განყოფილებაში ითხოვა სექსუალური შევიწროების კუთხით საქმის შესწავლა და თარჯიმანს სთხოვა ოქმის თარგმნა, რაზეც მისგან პასუხად მიიღო, რომ ამის საჭიროება არ იყო. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ ზეწოლის გამო, გახდნენ იძულებულნი ხელი მოეწერათ ოქმებისთვის. აღსანიშნავია, რომ განახლებული საქმისწარმოების ფარგლებში, განმცხადებელს ელექტრონულ ფოსტაზე

გაეგზავნა შეტყობინება და დეტალურად განემარტა საქმისწარმოების განახლების მიზეზები და 10 დღის ვადაში საპასუხო პოზიციის წარმოდგენა ეთხოვა შპს „ჭრელი აბანოს“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ მასალებთან დაკავშირებით. 2024 წლის 25 სექტემბერს, განმცხადებელმა გვაცნობა, რომ მათ კაცი მასაჟისტის მომსახურება არ მოუთხოვიათ. ამასთან, ინგლისურის გამო, კომუნიკაციის ბარიერი იყო ჭრელი აბანოს ადმინისტრაციის წარმომადგენელ ქალთან, რომელიც მათ სთხოვდა აბანოს ოთახში შესულიყვნენ და ქალს („მადამს“) დალოდებოდნენ. შესაბამისად, როცა მამაკაცი მექისე შევიდა, ისინი გაკვირვებულები დარჩნენ, თუმცა, ვინაიდან მექისეც არ საუბრობდა ინგლისურად, მისთვის აღარაფერი უთქვამთ. შეხების თაობაზე განმცხადებელმა განმარტა, რომ მექისის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მკერდზე შეუსაბამო შეხებას, კერძოდ, მექისემ განმცხადებელს მკერდზე ხელები მოუჭირა. დამატებით, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას, არაერთხელ სთხოვეს თარჯიმანს სიტყვა-სიტყვით ეთარგმნა ჩვენების შინაარსი, რადგან არ სურდათ ისეთი დოკუმენტისთვის მოეწერათ ხელი, რომელიც ვერ გაიგეს. თუმცა თარჯიმანმა დაარწმუნა, რომ ოქმში დასმულ კითხვებზე მათი პასუხები სრულად იყო ასახული. განმცხადებლის მითითებით, პოლიციაში განუმარტეს, რომ ვერ დატოვებდნენ პოლიციის შენობას ოქმების ხელმოწერამდე. ამდენად, რამდენიმე საათის გავლის შემდეგ, დაღლილობისა და იმედგაცრუების გამო, მათი ნების საწინააღმდეგოდ მოაწერეს ოქმებს ხელი. განმცხადებელი განმარტავს, რომ აზრს მოკლებულია მას ხელი მოეწერა ისეთი დოკუმენტისთვის, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის სექსუალურ შევიწროებას. თუმცა, განმცხადებელი და მისი თანმხლები პირები ოქმებზე ხელისმოწერით ადასტურებენ მასში ასახული ინფორმაციის სისწორეს, ამასთან მათ მიერ, საქართველოს დატოვების შემდეგ, არ მომხდარა ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენა, შესაბამისად, სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას ეჭვქვეშ დააყენოს გამოძიების ფარგლებში მიცემული ოქმების ნამდვილობა. აქედან გამომდინარე, ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტობრივი გარემოებებისა და ფაქტის ჩადენიდან ხანგრძლივი პერიოდის გასვლის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არ არსებობს სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის სამართლებრივი და ფაქტობრივი შესაძლებლობა და საქმეში არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც მექისის მხრიდან განმცხადებლისათვის მკერდზე შეხებას (მასაჟს) დაადასტურებდა.

3. რეკომენდაცია ეფუძნება ასევე სახალხო დამცველის წარმომადგენლის გასაუბრებას აბანოს მოლარესა და მენეჯერთან. გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციით, მოლარემ დაადასტურა, რომ ქისის დროს მკერდის მასაჟი მიღებული პრაქტიკაა, ხოლო აღმასრულებელმა დირექტორმა ამგვარი წესის არსებობა უარყო. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პირებმა აუდიო ჩაწერაზე უარი განაცხადეს და მათ მიერ მოწოდებული პოზიციები ურთიერთსაწინააღმდეგოა, მტკიცებითი დასკვნის გაკეთება, რომ აბანოში მკერდის მასაჟის გაკეთება მიღებული პრაქტიკაა, არ დასტურდება. ასევე, აბანო თავის ოფიციალურ პასუხში უარყოფს მათ კომპანიაში მკერდის მასაჟის სერვისს, რაც არ არის ასახული რეკომენდაციაში. ასევე, აღნიშნული პირები უშუალოდ არ შესწრებიან განმცხადებლის მასაჟის ჩატარების პროცესს და, შესაბამისად, არ არიან პირდაპირი მოწმეები. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პირებმა, რომლებსაც სახალხო დამცველის წარმომადგენელი 2019 წლის 8 ოქტომბერს გაესაუბრა, თანხმობა არ გამოხატეს საუბრის აუდიო ჩაწერაზე.[8] შესაბამისად, **მხოლოდ მათ მიერ მოწოდებულ, განსაკუთრებით, კი ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციაზე დაყრდნობით, სექსუალური შევიწროების დადგენა მიზანშეუწონელია.**

4. რაც შეეხება [redacted] და ა[redacted]იერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მიწოდებულ ინფორმაციას[9], საქმეში დევს აუდიო-ჩანაწერი და მოხდა ამ ჩანაწერის გაცნობა. [redacted]ნმარტებით, [redacted] რომელიც მისი მეგობარია, დაუკავშირდა და უთხრა, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტის მსხვერპლი იყო და დახმარება სთხოვა. [redacted]აპატრულო პოლიცია გამოიძახა და ადგილზე მივიდა. მისი თქმით, [redacted]ოტივირებული იყო გადაეყვანათ პოლიციაში და ჩვენება მიეცა. მოწმეები განმარტავენ, რომ მათ პოლიციას უთხრეს, რომ მექისემ [redacted] და მის მეგობრებს სექსუალურად ავიწროებდა, მკერდზე ხელს კიდებდა და პრაქტიკულად სხეულის სხვა ნაწილებზე მასაჟს არ უკეთებდა.

<u>**იმ პირობებში, როდესაც თავად ა[redacted] არ დაადასტურა მათ მიმართ სექსუალური შევიწროება, სახალხო დამცველი, სექსუალური შევიწროების დასადგენად, ვერ დაეყრდნობა მხოლოდ არაპირდაპირი მოწმეების ჩვენებებს.**</u>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესისა და საქმეთა განხილვის წესის დამტკიცების შესახებ 2022 წლის 16 მაისის N59 ბრძანების თანახმად, **სახალხო დამცველის/აპარატის მიერ გამოცემული შემაჯამებელი დოკუმენტი უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს იმ გარემოებებს, ფაქტებს, მტკიცებულებებს ან/და არგუმენტებს, რომლებიც სამართლიანად, სათანადო გულისხმიერებით იქნა გამოკვლეული და შესწავლილი საქმის განხილვის დროს.** შემაჯამებელ დოკუმენტში უნდა მიეთითოს იმ მტკიცებულებები, რომლებიც განხილულ იქნა მხარეთა მონაწილეობით და მხარეებს მიეცათ მათზე თავიანთი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.[10]

განსახილველ შემთხვევაში, **<u>განახლებული საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო დამცველის ხელთ არსებული მასალები არ იძლევა სექსუალური შევიწროების დადგენის შესაძლებლობას</u>**, ვინაიდან გამოვლინდა მტკიცებულებები, რომელიც სადავო გარემოებების საპირისპიროა. კერძოდ, განმცხადებლის მიერ მითითებულ გარემოებებს, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიცემული ჩვენებისას, უარყოფს მექისე და ფაქტის შემსწრე სამივე პირი, მათ შორის, თავად განმცხადებელიც. მართალია, განმცხადებელი მიუთითებს, რომ მათი ნების საწინააღმდეგოდ მოაწერეს ხელი ოქმებზე, თუმცა, სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას, დაადგინოს ხელმოწერის იძულების ფაქტი. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, საქმის შესწავლის ეტაპზე, არ იყო ცნობილი და რეკომენდაციაში არ არის ასახული.

საქართველოს საერთო სასამართლოებში დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დასტურდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობის ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მხარის მიერ მიცემული ნებისმიერი ახსნა-განმარტების მიჩნევა, ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს.[11] აღნიშნული განმარტება მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელი სახალხო დამცველის მიერ სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეების განხილვის დროსაც.

მოცემულ საქმეში, წარმოიშვება შეკითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დადასტურდეს მექისის მხრიდან მკერდის მასაჟი, როდესაც „სიტყვა სიტყვის წინააღმდეგ“ არის. ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციების წარმოდგენის შემთხვევაში, სექსუალური შევიწროება, შესაძლოა, დადგინდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. სხვა მტკიცებულებები კი, ერთი მხრივ, იქ მყოფი პირების - [redacted]ა [redacted]ეიო-ჩანაწერებია, რომლებიც 2019 წელს ტექნიკური ხარვეზის გამო არ არის ჩაწერილი, ასევე ვერ იქნა გადამოწმებული მიმდინარე განახლებული წარმოების ეტაპზე, ხოლო, მეორე მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიცემული ჩვენებით, იგივე პირები უარყოფენ სექსუალური შევიწროების ფაქტს.

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია მტკიცების ტვირთის განაწილების (სპეციალური) წესი, რომლის თანახმად, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის მტკიცების, დამყარების წინაპირობა დაკმაყოფილებულია, მხოლოდ შემდგომ, მტკიცების ტვირთი გადაინაცვლებს სავარაუდო დამრღვევზე, რომელსაც შეუძლია გააქარწყლოს, უარყოს პრეზუმფცია დისკრიმინაციის არსებობის გამორიცხვით. „მოპასუხეს ასევე აქვს უფლება უარყოს იმ ფაქტების არსებობა, რომელიც მოსარჩელემ წარადგინა დისკრიმინაციის ვარაუდის წარმოშობისთვის“. ევროკავშირის ანტი-დისკრიმინაციული სამართალი და ადამიანის **უფლებათა ევროპული სასამართლო, ფართოდ აღიარებს მტკიცების ტვირთის გაზიარების, ორივე მხარეს შორის განაწილების პრინციპს და გამორიცხავს მის მხოლოდ მოპასუხეზე დაკისრებას.** აღნიშნული კი ორ-ეტაპიანი ტესტის წინაპირობის გავლას მოითხოვს. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ იგი ფაქტად მიიჩნევს მტკიცებებს, რომლებიც „განმტკიცებულია ყველა მტკიცებულების, მათ შორის, ფაქტებიდან და მხარეთა არგუმენტებიდან გამომდინარე დასკვნების თავისუფალი შეფასებით. ფაქტი დამტკიცებულად ითვლება საკმარისად ძლიერი, ნათელი და თანმხვედრი დასკვნების ან ამგვარივე უდავო პრეზუმფციების თანაარსებობისას. მეტიც, გარკვეული დასკვნის გამოსატანად საჭირო დამარწმუნებლობის ხარისხი და მასთან მიმართებით მტკიცების ტვირთის გადანაწილება, არსებითადაა დაკავშირებული ფაქტების სპეციფიკასთან, წაყენებული ბრალდებების ბუნებასა და ევროპული კონვენციის განსახილველ უფლებასთან“.[12]

გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თუ მოსარჩელის მტკიცების ტვირთის ფარგლებში, დისკრიმინაციის სავარაუდოობა არ არის დამაკმაყოფილებელი ხარისხით წარმოდგენილი, მოპასუხის მხრიდან დისკრიმინაციის არარსებობის, თუნდაც არასრულფასოვანი, მტკიცება, თავისთავად არ გახდება დისკრიმინაციის დადგენის საფუძველი. აღნიშნული კი ***<u>შედეგობრივად გულისხმობს, დისკრიმინაციის დავებში მტკიცების ტვირთის გაზიარებას და არა სრულ გადატანას მოპასუხეზე</u>***, რამეთუ მოპასუხის მტკიცებულებების სარწმუნოობის ხარისხი, შეფასების საგანი მხოლოდ იმ პირობებში გახდება, თუ დაკმაყოფილებულია სავარაუდო დისკრიმინაციის პირველადი პრეზუმფციის წარმოშობისათვის საჭირო მტკიცებულებითი საფუძველი. ამრიგად, დაცვის ეფექტიანი ზომები და სამართლიან პროცესზე უფლება, მტკიცების ტვირთის კონტექსტში, გულისხმობს, რომ დარღვევის არსებობის პრეზუმფცია არათანაზომიერად არ უნდა პრევალირებდეს საკითხის გადაწყვეტის დროს და **მხარეებს მიეცეთ უფლებათა თანაზომიერი განხორციელების შესაძლებლობა პროცედურული სამართლიანობის პრინციპის დაცვით.[13] მოცემულ საქმეში, მოპასუხეს წაერთვა შესაძლებლობა მისი პოზიცია რეკომენდაციაში ასახულიყო.**

ამასთანავე, გაცემულ 4 რეკომენდაციას რაც შეეხება, აქედან 2 რეკომენდაცია მოპასუხეს შესრულებული აქვს.

- **დისკრიმინაციის ამკრძალავი წესები ასახული აქვს შინაგანაწესში და ქისის მომსახურების გაწევის წესიც დარეგულირებულია, კერძოდ, ქალ მომხმარებელს ქალი მექისე უწევს მომსახურებას, ხოლო კაც მომხმარებელს - კაცი მექისე;**

- **შესაძლო გადაცდომებზე რეაგირების თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ მექისესა და აბანოს შორის არსებული ურთიერთობა მოწესრიგებულია არა შრომის, არამედ იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში;**

სექსუალური შევიწროების საქმეები შესწავლა საქმის ყველა გარემოების განსაკუთრებული სიფრთხილითა და პოზიციების ობიექტური ანალიზით უნდა მოხდეს. თუ სექსუალური შევიწროების არსებობა სათანადო მტკიცებულებებით და მაღალი დამაჯერებლობით არ იკვეთება, სექსუალური შევიწროება დადგენილად **არ უნდა** ჩაითვალოს.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საქმეზე განახლებული წარმოების ფარგლებში გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად არ იკვეთება სექსუალური შევიწროება, შესაბამისად, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება არ დაადგინოს სექსუალური შევიწროების ფაქტი და გააუქმოს 2020 წლის 27 თებერვლის რეკომენდაცია (N13-5/2408).

პატივისცემით,

---

[1] სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 25 ივლისის ოქმი N5679-13-3; ოქმს თან ერთვის ელექტრონული წერილები

[2] **შენიშვნა:** ელექტრონული წერილები წარმოდგენელია ინგლისურ ენაზე, შესაბამისად, მოცემულია მისი ძირითადი ნაწილის ქართული თარგმანი

[3] [redacted] 2019 წლის 24 ივლისის ელექტრონული წერილი

[4] სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის 2019 წლის 2 აგვისტოს ოქმი N5947-13-3

[5] სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის 2019 წლის 9 ოქტომბრის N7714-13-3 ოქმი

[6] [redacted] 2019 წლის 23 ივლისის წერილობითი განმარტება, რომელიც შედგენილია რუსულ ენაზე; ასევე, სახალხო დამცველის N13-5/2408 რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ მექისის ვინაობა მოპასუხეს აპარატისთვის არ უცნობებია, თუმცა მექისის სახელი და გვარი მითითებულია მოპასუხის 2019 წლის 25 ნოემბერის წერილში, რომელიც სახალხო დამცველის აპარატში საქმის განხილვაზე პასუხისმგებელი პირებისათვის არ იყო ცნობილი.

[7] **შენიშვნა:** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე წარმოადგინა 2019 წლის 22 ივლისის თარჯიმნების - [redacted] და [redacted] ოქმები არასწორი თარგმნის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

[8] **შენიშვნა:** აღნიშნულს ადასტურებს 2019 წლის 8 ოქტომბრის ოქმი, რომლითაც მოლარემ უარი განაცხადა აუდიო ჩაწერაზე; 2019 წლის 8 ოქტომბრის ოქმი, რომლითაც აღმასრულებელმა დირექტორმა ჯაბა მამაცაშვილმა უარი განცხადა საუბრის აუდიო ჩაწერაზე

[9] 2019 წლის 25 ნოემბრის თანასწორობის დეპარტამენტის ოქმი (N8912-13-3) 2019 წლის 8 ოქტომბერს, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი გაესაუბრა მათ და განხორციელდა საუბრის აუდიო-ჩაწერა თანხმობა აუდიო ჩანაწერზე - [redacted] 2019 წლის 8 ოქტომბრის ოქმები

[10] 47-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები https://ombudsman.ge/res/docs/2022052417030777705.pdf

[11] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.09.2017 განჩინება, საქმეზე №ას-855-799-2017

[12] სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია, რედაქტორები თამარ ზარანდია, ნათია ჩიტაშვილი 2021 გვ. 137-138

[13] სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია, რედაქტორები თამარ ზარანდია, ნათია ჩიტაშვილი 2021 გვ. 135-149

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი